ბრძანება

05 ივლისი 2019 წ. თბილისი № 93/01

2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შიდა მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ, 04.02.2010 ბრძანების, ,,სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესის" მეორე მუხლის, თსსუ–ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 ივლისის N 24/18 საოქმო დადგენილების, 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შიდა მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შიდა მობილობის თაობაზე სტუდენტთა განცხადებების მიღება დასრულდეს 2019 წლის 24 ივლისს, 13 ^{00} საათზე.

2. ა) სწავლების მეორე წლიდან შიდა მობილობის შემთხვევაში, სტუდენტს მიღებული უნდა ჰქონდეს 45 კრედიტი მაინც, ხოლო მომდევნო წლებში შიდა მობილობის შემთხვევაში სწავლების ბოლო სემესტრში, მას მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 20 კრედიტისა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ შეძლო 20 კრედიტის მოპოვება). აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამიდან სხვა პროგრამაზე გადამსვლელ სტუდენტებზე.

ბ) შიდა მობილობის წესით მედიცინის, საერთაშორისო მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე გადამსვლელ სტუდენტებს დაძლეული უნდა ჰქონდეთ ჩარიცხვის წელს მიმღებ პროგრამაზე თსსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა საგამოცდო საგანში.

3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის შიდა მობილობის თაობაზე განცხადებების მიღება დასრულდეს 2019 წლის 12 აგვისტოს, 18 ^{00} საათზე".

4. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (ნ.ჩიხრაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილას.

5. დაევალოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა და პროტოკოლის სამსახურს (თ. სტეფანიშვილი) წინამდებარე ბრძანების განთავსება თსსუ-ის ვებგვერდზე.

6. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

7. ბრძანება დაეგზავნოთ: ვიცე-რექტორებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მედიცინის, საერთაშორისო მედიცინის, ფარმაციისა, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის უფროსს.

8. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ხათუნა თოდაძე
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი